

შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	9
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	10
კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	11
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	12
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	13
1. ზოგადი ინფორმაცია	13
2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	13
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	30
4. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	32
5. საოპერაციო ხარჯი.....	32
6. არასაოპერაციო შემოსავალი	33
7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	33
8. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	34
9. სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები.....	34
10. პროცენტის სესხები.....	35
11. ფიქსირებული აქტივები	36
12. საგადასახადო ვალდებულებები.....	38
13. სასაქონლო მატერიალური მარაგები.....	38
15. პირობითი ვალდებულებები	39
16. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა.....	39
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	42
18. სამართლებრივი მოთხოვნები	42

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის
პარტნიორებს და ხელმძღვანელობას

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩავატარეთ შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის თანდართული კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის - მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი - ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო. ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

ჩვენ აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-სგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში. გარდა ამისა შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებებიც. როგორც დასკვნის - „უარი მოსაზრების გამოთქმაზე“ - ნაწილში აღვნიშნეთ „ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება“,

რაც ნიშნავს, რომ აღმოუჩენელი უზუსტობების შესაძლო გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება იყოს არსებითი და ყოვლისმომცველიც. ასე მაგალითად: რუსთავი 2-ის შემოსავლების ფორმირება ხდება რუსთავი 2-ში განთავსებული რეკლამის ხანგრძლივობის მიხედვით, განთავსების დროისა და გადაცემის რეიტინგის მიხედვით, რომლის (სარეკლამო ბადის) ფასწარმოქმნის გაანგარიშება და გაყიდული რეკლამების აღრიცხვა რუსთავი 2-ში არ წარმოებდა. მას განსაზღვრავდნენ და აღრიცხავდნენ კომპიუტერული პროგრამით ე. წ. „ტელეპორტით“ კომპანიები (2016 წელში - შპს „ინტერ მედია პლიუსი“ - ს.ნ. 400133903, 2017 წელში - შპს „ინტერ მედია“ - ს.ნ. 400191699 და 2018 წელში - შპს „ინტერ მედია“- ს.ნ 400228650), რომლებსაც ფაქტიურად ექსკლუზიური უფლება ქონდათ რუსთავი 2-ში რეკლამების განთავსება- გაყიდვაზე და ამ კომპანიების მიერ მიღებული შემოსავლიდან ხელშეკრულებით შეთანხმებული პროცენტი უნდა მიეღო რუსთავი 2-ს. რომლის სისწორის შემოწმება ვერ შევძელით, რადგან ხელმოწვედომელია ინფორმაცია ზემოთ ხსენებული კომპანიების მონაცემებზე. იმ მოტივით, რომ მათი დოკუმენტაცია (კომპიუტერები - „ტელეპორტის“ პროგრამით), ინფორმაცია შემოსავლების შესახებ ამოღებულია პროკურატურის მიერ ჩვენთვის გაურკვეველი ვადით. 2018 წელს ინტერ მედიასგან მიღებული შემოსავალი შეადგენს მთლიანი შემოსავლის 75%, შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების სრული შემოსავლის ანგარიშგებისთვის ყოვლისმომცველია. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები შემოსავლის ანგარიშებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ჩატარებული არაა. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერების თავისებურებებიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება ძირითადი საშუალებების რაოდენობაზე, რაც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 20 065 189 ლარით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ძირითად საშუალებებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ საკმარისი დადასტურება მესამე მხარისგან სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 17 272 289 ლარს. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურით დაგვედასტურებინა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. შედეგად, ვერ

განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ საკმარისი დადასტურება მესამე მხარისგან სავაჭრო ვალდებულებებზე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 25 339 717 ლარს. (შენიშვნა 9). კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურით დაგვედასტურობინა სავაჭრო ვალდებულებები. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სავაჭრო ვალდებულებებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ ხელშეკრულებები და შესაბამისად ვერ ჩავატარეთ საკმარისი აუდიტორული პროცედურები რწუმებების მისაღებად, რის გამოც ვერ მივიღეთ საკმარისი რწმუნება სესხის ნაშთებზე, რომელიც შეადგენს 13 329 668 ლარს. (შენიშვნა 10).

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

როგორც განხილულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში, ფუნქციონირებადობა არსებით განუსაზღვრელობას მიაწინებს. მე-3 შენიშვნაში მოცემულია ადეკვატური განმარტებები არსებულ ცვლილებებსა და ხელმძღვანელობის გეგმების შესახებ. ხელმძღვანელობის გეგმების განუხორციელებლობის შემთხვევაში, ზემოთ აღნიშნული პირობები და მოვლენები გარკვეულ კითხვებს ბადებს სამეურნეო სუბიექტმა საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, მაგრამ ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არაა.

სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები

2019 წლის 19 ივლისიდან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 აგვისტოს N2/15651-15 განჩინებისა და ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 20 ნოემბრის №28/4309-15 განჩინების საფუძველზე სრულად შეიცვალა შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის დამფუძნებლები, რის შედეგადაც მოხდა მთლიანად მენეჯმენტის შეცვლა.

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ს არ განუხორციელებია წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

სხვა ინფორმაცია (მმართველობითი ანგარიშგება)

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზედ გაცემულ აუდიტორის დასკვნას. მმართველობის ანგარიშგება სავარაუდოდ ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ. ჩვენი უარი აზრის გამოთქმაზე ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას და არანაირ მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით და შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა რუსთავი 2-ს უნარი, საქმიანობა გააგრძელონ, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, , დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენონ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს რუსთავი 2-ის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან რუსთავი 2-ის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ რუსთავი 2-ის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმოებმა. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- კომპანიის ფარგლებში არსებული სამეურნეო ერთეულების და საქმიანობების კონსოლიდირებულ ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით საკმარისი შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოსახატავად. ჩვენ პასუხს ვაგებთ კომპანიის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და მის შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად, ხელმძღვანელობას ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის აუდიტის პროცესში გამოვლენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

კონსტანტინე კიკნაძე

(SARAS-A-615427)

გარიგების პარტნიორი

შპს „თიჯიეს-კვ ჯგუფი“

თბილისი, არჩილ ქურდიანის 11

18 იანვარი 2020 წ.

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2016	31.12.2017	31.12.2018
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	7	32,069	176,247	152,611
სავაჭრო მოთხოვნები	8	8,930,217	12,306,089	17,272,289
სასაქონლო მატერიალური მარაგები	13	37,646	42,065	55,916
წინასწარ გადახდილი ხარჯები		14,617	11,751	33,028
ჯამურად მიმდინარე აქტივები		9,014,549	12,536,151	17,513,844
ფიქსირებული აქტივები	11	16,814,332	18,865,156	20,065,189
ჯამურად გრძელვადიან აქტივები		16,814,332	18,865,156	20,065,189
სულ აქტივები		25,828,881	31,401,308	37,579,034
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	9	11,567,566	17,626,929	25,339,717
გადასახდელი გადასახადები	12	3,567,662	9,492,144	18,710,952
გადასახდელი პროცენტი		4,740,514	5,879,145	6,475,207
გრძელვადიანი სესხის მოკლევადიანი ნაწილი	10	13,530,045	13,730,124	13,329,668
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		33,405,786	46,728,342	63,855,545
სულ ვალდებულებები		33,405,786	46,728,342	63,855,545
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		5,783,329	5,783,329	7,274,029
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(13,489,604)	(23,400,754)	(36,787,065)
გადაფასების რეზერვი		129,370	2,290,390	3,236,526
სულ კაპიტალი		(7,576,905)	(15,327,035)	(26,276,511)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		25,828,881	31,401,308	37,579,034

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2020 წლის 17 იანვარს.

გენერალური დირექტორი

პაატა სალია

17 იანვარი 2020

მთავარი ბუღალტერი

მარინა ოდიშელიძე

17 იანვარი 2020

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	2017	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	4	32,073,169	34,155,001
სულ შემოსავალი		32,073,171	34,155,004
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		7,413,065	9,076,889
სულ თვითღირებულების ხარჯები		7,413,065	9,076,889
მთლიანი მოგება		24,660,106	25,078,115
საოპერაციო ხარჯები	5	26,528,358	29,572,103
ცვეთის ხარჯი		6,186,520	7,677,520
სულ საოპერაციო ხარჯები		32,714,878	37,249,623
არასაოპერაციო მოგება	6	1,096,720	688,361
არასაოპერაციო ზარალი		2,871,712	1,844,103
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი	-	1,774,992	- 1,155,743
მოგება დაბერგვამდე	-	9,829,764	- 13,327,250
მოგების გადასახადი		81,385	59,061
წმინდა მოგება	-	9,911,150	- 13,386,311

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2020 წლის 17 იანვარს.

გენერალური დირექტორი

პაატა სალია

17 იანვარი 2020

მთავარი ბუღალტერი

მარინა ოდიშელიძე

17 იანვარი 2020

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“

კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	გადაფასების რეზერვი	ჯამურად
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,783,329	(13,489,604)	129,370	(12,006,140)
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-		2,161,020	2,161,020
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	9,911,150		(9,911,150)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,783,329	-	23,400,754	-
კაპიტალის ზრდა/შემცირება	1,490,700		946,136	2,436,836
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	13,386,312		(13,386,312)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7,274,029	-	36,787,065	(26,276,511)

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2020 წლის 17 იანვარს.

გენერალური დირექტორი

პაატა სალია

17 იანვარი 2020

მთავარი ბუღალტერი

მარინა ოდიშელიძე

17 იანვარი 2020

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2017	2018
მოგება დაბეგრვამდე	- 9,911,150	- 13,386,311
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	6,186,520	7,677,520
მოგების გადასახადი	-	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	- 3,724,630	- 5,708,791
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების დავალიანებაში	- 3,375,872	- 4,966,200
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	- 4,419	- 13,851
ცვლილებები წინასწარ გადახდილ გადასახადებში	2,866	- 21,278
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	6,059,363	7,712,788
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში	5,924,482	9,218,808
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	4,881,791	6,221,476
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიქსირებული აქტივების შეძენა/ჩამოწერა	- 8,237,344	- 8,877,553
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	- 8,237,344	- 8,877,553
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის ზრდა	-	1,490,700
გადაფასების რეზერვი	2,161,020	946,136
მიღებული სესხების დაფარვა	200,080	- 400,456
საპროცენტო ვალდებულება	1,138,631	596,062
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	3,499,731	2,632,442
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	144,178	- 23,635
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	32,069	176,247
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	176,247	152,611

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2020 წლის 17 იანვარს.

გენერალური დირექტორი

პაატა სალია

17 იანვარი 2020

მთავარი ბუღალტერი

მარინა ოდიშელიძე

17 იანვარი 2020

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ (შემდგომში - „რუსთავი 2“) დაფუძნდა 1996 წლის 27 აგვისტოს. საიდენტიფიკაციო კოდი: 211352016. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა N5ა.

საზოგადოების დამფუძნებელია:

- ქიზარ ხალვაში (პნ 61002000543) - 60%
- შპს „პანორამა“ (სნ 205033328) - 40 %

რუსთავი 2-ის ძირითად საქმიანობად განისაზღვრა სამაუწყებლო მომსახურება მთელი საქართველოს მასშტაბით.

რუსთავი 2-ს დაფუძნებული აქვს შემდეგი კომპანიები, რომლებიც არ არის შესული ფინანსურ ანგარიშგებაში:

- შპს მუქსი (სნ 405044955) რეგისტრაციის თარიღი 23.05.2014 წელი - 100 %
- შპს უნიმედია (სნ 205284609) რეგისტრაციის თარიღი 06.08.2009 წელი - 50%

შვილობილ კომპანიებს, საანგარიშგებო პერიოდში არ განუხორციელებიათ ფინანსური ოპერაციები.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა 845.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

2.1 მომზადების საფუძველი

რუსთავი 2-ის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვაგვარად არ არის მითითებული. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

გამოიცა კონკრეტული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა კომპანიის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ და რომლებიც კომპანიას ადრე არ გამოუყენებია.

ინვესტორსა და მის ასოცირებულ კომპანიას ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა ან კაპიტალის დაბანდება - ცვლილებები ფასს 10 - ში და ბასს 28 - ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება იმ დღეს ან იმ თარიღის შემდეგ, რომელიც განისაზღვრება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ს აბჭოს (IASB) მიერ) . აღნიშნული ცვლილებები ეხება შეუსაბამობას ფასს 10-ის და ბასს 28-ს მოთხოვნებს შორის ინვესტორსა და მის ასოცირებულ კომპანიას ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვასთან ან დაბანდებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ცვლილებების მთავარი შედეგი არის ის, რომ სრული მოგება ან ზარალი აღიარებულია მაშინ, როდესაც გარიგება მოიცავს ბიზნეს საქმიანობას. ნაწილობრივი მოგება ან ზარალი აღიარებულია როდესაც გარიგება მოიცავს აქტივებს, რომლებიც არ მოიცავს ბიზნეს საქმიანობას, იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნულ აქტივებს ფლობს შვილობილი კომპანია. კომპანია ამჟამად აფასებს ახალი სტანდარტის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 16, იჯარები (გამოიცა 2016 წლის 13 იანვარს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლის ათვლა იწყება 2019 წლის 1 იანვარს). ახალი სტანდარტები განსაზღვრავს იჯარების აღიარების, შეფასების, წარდგენის და გამჟღავნების პრინციპებს. ყველა იჯარა მოითხოვს მოიჯარისგან აქტივის გამოყენების უფლების მოპოვებას იჯარის ვადის დასაწყისში, და იმ შემთხვევაში, თუ საიჯარო გადასახადების გადახდა ხორციელდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ასევე ფინანსური ვალდებულებას. შესაბამისად ფასს 16 გამორიცხავს იჯარების კლასიფიკაციას საოპერაციო იჯარებად ან ფინანსურ იჯარებად, როგორც მოითხოვს ბასს 17 და ამის ნაცვლად ნერგავს მოიჯარის აღრიცხვის ერთიან მოდელს. მოიჯარეები ვალდებული არიან აღიარონ: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იჯარისთვის 12 თვეზე მეტი ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საბაზისო აქტივი დაბალი ღირებულებისაა; და (ბ) საიჯარო აქტივების ცვეთა ცალკე საიჯარო ვალდებულებების პროცენტისგან მოგება / ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში. ფასს 16 ითვალისწინებს მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნების

არსებითად გადატანას ბასს 17-ში. შესაბამისად, მეიჯარე აგრძელებს იჯარების კლასიფიკაციას საოპერაციო იჯარებად და ფინანსურ იჯარებად და აღნიშნული ორი ტიპის იჯარის აღრიცხვას განსხვავებულად. კომპანია ამჟამად აფასებს აღნიშნული ახალი სტანდარტის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასიკ 23 " გაურკვევლობა მოგების გადასახადით დაბეგვრის რეჟიმში " (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის , რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ) ბასს 12 განსაზღვრავს მიმდინარე და გადავადებული გადასახადის აღრიცხვის წესს და არა გაურკვევლობის შედეგების ასახვის წესს. ინტერპრეტაცია განმარტავს ბასს 12-ში აღიარების და შეფასების მოთხოვნების გამოყენების წესს, მოგების საგადასახადო რეჟიმში გაურკვევლობის არსებობის შემთხვევაში. საწარმომ უნდა განსაზღვროს ცალკე განიხილოს თითოეული გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი თუ სხვა ერთ ან მეტ სხვა გაურკვეველ საგადასახადო რეჟიმთან ერთად, რომელი მიდგომის საფუძველზე უკეთ მოახდენს მის პროგნოზირებას. საწარმომ უნდა გაითვალისწინოს, რომ საგადასახადო ორგანო შემოწმებს თანხებს, რომლის შემოწმების უფლებაც მას აქვს და ექნება სრული ინფორმაცია ასეთი შემოწმებების განხორციელების დროს. თუ საწარმო დაასკვნის, რომ ნაკლებ სავარაუდოა საგადასახადო ორგანოებმა მიიღონ გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო შეღავათების ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრისას, ყველაზე მეტად სავარაუდო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, რომელი მეთოდის საფუძველზეც საწარმო უკეთ მოახდენს მის პროგნოზირებას. საწარმო ასახავს ცვლილების ეფექტს ფაქტებსა და გარემოებებში ან ახალი ინფორმაციის ეფექტს, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციის მიერ მოთხოვნილ დასკვნებზე ან შეფასებებზე სააღრიცხვო შეფასებაში ცვლილების სახით. ახალი ინფორმაციის ან ცვლილებების მაგალითები ფაქტებსა და გარემოებებში, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დასკვნის ან შეფასების გადაფასება, მოიცავს და არა მხოლოდ საგადასახადო ორგანოს მიერ შემოწმებებს ან ქმედებებს, ცვლილებებს საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილ წესებში ან საგადასახადო ორგანოს მიერ დაბეგვრის რეჟიმის გადახედვის ან განმეორებით გადახედვის უფლების ამოწურვას. საგადასახადო რეჟიმთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოს შეთანხმების არარსებობა ან უთანხმოება, ცალკე აღებული, სავარაუდოდ არ მოიცავს ცვლილებას ფაქტებში და გარემოებებში ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ დასკვნებსა და შეფასებებზე. კომპანია ამჟამად აფასებს ინტერპრეტაციის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

წინასწარ გადახდის თავისებურებები უარყოფითი ანაზღაურებით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის , რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ). ცვლილებები ითვალისწინებს კონკრეტული სესხების და სავალო ფასიანი ქაღალდების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასების შესაძლებლობას, რომელიც შესაძლოა მომზადდეს ამორტიზირებულ ღირებულებაზე დაბალ თანხად, მაგალითად რეალური ღირებულებით ან იმ თანხით, რომელიც მოიცავს მსესხებლისთვის გადასახდელ გონივრულ კომპენსაციას, რომელიც შეადგენს საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ზრდის ეფექტის მიმდინარე ღირებულებას ინსტრუმენტის დარჩენილ ვადაში. გარდა ამისა, სტანდარტის დასკვნის საფუძველზე დამატებული ტექსტი დამატებით ადასტურებს არსებულ სახელმძღვანელო პრინციპს ფასს 9-ში, რომ ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული კონკრეტული ფინანსური ვალდებულებების მოდიფიკაციები ან გაცვლები, რომელიც არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, განაპირობებს მოგებას ან ზარალს მოგება-ზარალში. ანგარიშვალდებულ ორგანიზაციებს უმეტეს შემთხვევაში არ ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ ეფექტური საპროცენტო განაკვეთი სესხის დანარჩენ ვადაში მოგებაზე ან ზარალზე ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით სესხის მოდიფიკაციის შემდეგ. კომპანია ამჟამად აფასებს აღნიშნული ცვლილებების გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ცვლილებები ბასს 28- ში „ გრძელვადიანი ინტერესები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში “ (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაშია წიური პერიოდებისთვის , რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ) ცვლილებები ცხადყოფს, რომ ანგარიშვალდებულმა ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ ფასს 9 გრძელვადიან სესხებზე, პრივილეგირებულ აქციებზე და მსგავს ინსტრუმენტებზე, რომელიც ქმნის წმინდა ინვესტიციის ნაწილს წილობრივი მონაწილეობის მეთოდით, სანამ ისინი შეძლებენ შეამცირონ აღნიშნული საბალანსო ღირებულება ინვესტიციის ობიექტის ზარალის წილით, რომელიც აღემატება ინვესტორების წილის ოდენობას ჩვეულებრივ აქციებში. კომპანია თვლის, რომ აღნიშნული ცვლილებები არსებით გავლენას არ მოახდენს თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

წლიური გაუმჯობესებები ფასს - ებში 2015-2017 წლების ციკლში – შესწორებები ფასს 3 - ში, ფასს 11 - ში, ბას 12 - ში და ბას 23 ში (გამოიცა 2017 წლის 12 დეკემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ)

ვიწრო ფარგლების მქონე ცვლილებები გავლენას ახდენს ოთხ სტანდარტზე. ფასს 3 განმარტავს, რომ შემძენმა თავიდან უნდა შეაფასოს თავისი მანამდე ფლობილი წილი ერთობლივ საქმიანობაში, როდესაც მოიპოვებს კონტროლის უფლებას კომპანიაზე. ხოლო ფასს პირიქით ზუსტად განმარტავს, რომ ინვესტორმა არ უნდა გადააფასოს მისი მანამდე ფლობილი წილი როდესაც მოიპოვებს კონტროლის უფლებას ერთობლივ საქმიანობაზე, არსებული მოთხოვნების მსგავსად, როდესაც ასოცირებული პირი ხდება ერთობლივი საწარმო ან პირიქით. შესწორებული ბასს 12 განმარტავს, რომ საწარმო აღიარებს დივიდენდების ყველა მოგების გადასახადის შედეგებს, როდესაც აღიარებს იმ გარიგებებს ან მოვლენებს, რომლებმაც წარმოქმნა დაკავშირებული გასანაწილებელი მოგება, მაგალითად მოგებაში ან ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში. ცხადია, რომ აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება ყველა გარემოებაში, რამდენადაც გადახდები ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომლებიც კლასიფიცირებულია კაპიტალად, წარმოადგენს მოგების განაწილებას და არა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო შედეგები წარმოადგენს განაწილებული და გაუნაწილებელი მოგებების სხვადასხვა საგადასახადო განაკვეთების შედეგს. რედაქტირებული ბასს 23 მოიცავს ზუსტ სახელმძღვანელო მითითებას, რომ სპეციალურად განსაზღვრული აქტივის დაფინანსებისთვის მოპოვებული სასესხო სახსრები ამოღებულია საერთო სასესხო ხარჯების პულიდან, რომლის კაპიტალიზაცია ნებადართულია მხოლოდ მანამ, სანამ კონკრეტული აქტივი არსებითად სრული არ იქნება. კომპანია ამჟამად აფასებს აღნიშნული ცვლილებების გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ცვლილებები ბასს 19 - ში “ გეგმის ცვლილება , შემცირება ან ანგარიშსწორება ” (გამოიცა 2018 წლის 7 თებერვალს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ) ცვლილებები მიუთითებს როგორ უნდა განისაზღვროს საპენსიო ხარჯები, როდესაც განსაზღვრული გადახდების საპენსიო გეგმაში განხორციელდება ცვლილებები. როდესაც გეგმაში - ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება - ხორციელდება, ბასს 19 მოითხოვს დადგენილი გადახდების საპენსიო გეგმის წმინდა ვალდებულების ან აქტივის გადაფასებას. აღნიშნული ცვლილება მოითხოვს ზემოხსენებული გადაფასების შედეგად განახლებული დაშვებების გამოყენებას მიმდინარე მომსახურების ღირებულების და წმინდა პროცენტის განსაზღვრისთვის ანგარიშგების დანარჩენ ვადაში გეგმაში ცვლილების შეტანის შემდეგ. ცვლილებების განხორციელებამდე ბასს 19 არ განმარტავდა აღნიშნული ხარჯების განსაზღვრის წესს მოცემული პერიოდისთვის ცვლილების განხორციელების შემდეგ. განახლებული დაშვებების გამოყენების მოთხოვნით, ცვლილებები სასარგებლო

ინფორმაციას მიაწვდის ფინანსური ანგარიშგების მოხმარებლებს. იქნება. კომპანია ამჟამად აფასებს აღნიშნული ცვლილებების გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ) გადახედული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ; სახელმძღვანელოს ფინანსური ეფექტურობის ანგარიშგების შესახებ; გაუმჯობესებულ დეფინაციებს და სახელმძღვანელო მითითებებს - კერძოდ ვალდებულების დეფინაციას; და განმარტებებს მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა ხელმძღვანელობის ფუნქციები, გონივრულობა და შეფასების გაურკვევლობები ფინანსურ ანგარიშგებაში.

საწარმოს განსაზღვრება – ცვლილებები ფასს 3 - ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს და ძალაშია შესყიდვებისთვის წლიური ანგარიშგების პერიოდის დასაწყისიდან, რომელიც აითვლება 2020 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ) აღნიშნული ცვლილება ითვალისწინებს საწარმოს განსაზღვრების გადახედვას. საწარმოს უნდა ჰქონდეს რესურსები და არსებითი პროცესები, რომლებიც ერთობლივად გამოიყენება პროდუქციის შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი შეტანის სახით. ახალი სახელმძღვანელო წარმოადგენს სტრუქტურას, რომელიც შეაფასებს როდის არსებობს რესურსები და არსებითი პროცესები, მათ შორის დამწყები კომპანიებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ შექმნილი პროდუქცია. ორგანიზებული სამუშაო ძალა წარმოადგენს საწარმოდ კლასიფიკაციის პირობას პროდუქციის არარსებობის შემთხვევაში. ტერმინის „პროდუქცია“ განმარტება შემოიფარგლება კლიენტისთვის გაწეულ მომსახურებებზე და საქონელზე ფოკუსირებით, რომელსაც მოაქვს საინვესტიციო შემოსავალი და სხვა შემოსავალი და არ მოიცავს შემოსავლებს დაბალი დანახარჯების ან სხვა ეკონომიკური სარგებელის სახით. ასევე აღარ არის საჭირო შეფასდეს შეუძლიათ თუ არა ბაზრის მონაწილეებს გამოტოვებული ელემენტების ჩანაცვლება ან შეძენილი საქმიანობების და აქტივების ინტეგრაცია. საწარმოს შეუძლია გამოიყენოს „კონცენტრაციის ტესტი“. შეძენილი აქტივები არ წარმოადგენს საწარმოს იმ შემთხვევაში, თუ არსებითად ყველა შეძენილი აქტივის რეალური ღირებულება კონცენტრირებულია ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). ცვლილებები არის სამომავლო და კომპანია გამოიყენებს მათ მათი გავლენის შესაფასებლად 2020 წლის 1 იანვრიდან.

არსებითობის განსაზღვრება – ცვლილებები ბ ასს 1 - ში და ბასს 8 - ში (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის

1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ) აღნიშნული ცვლილებები განმარტავს არსებითის განსაზღვრებას და როგორც უნდა იქნას ის გამოყენებული განსაზღვრების სახელმძღვანელოში შეტანით, რომელიც მოცემულ მომენტამდე წარმოდგენილია სხვადასხვა ნაწილებში ფასს-ში. გარდა ამისა გაუმჯობესდა განმარტებები, რომელიც თან ერთვის განსაზღვრებას. და ბოლოს აღნიშნული ცვლილებები უზრუნველყოფს, რომ არსებითის განსაზღვრება შეესაბამება ყველა ფასს სტანდარტს. ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვება, უზუსტობა ან გაურკვეველობა სავარაუდოდ გავლენას მოახდენს იმ გადაწყვეტილებებზე, რომელსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები მიიღებენ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ფინანსურ ინფორმაციას კონკრეტული ორგანოს შესახებ. იქნება. კომპანია ამჟამად აფასებს აღნიშნული ცვლილებების გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

თუ სხვაგვარად არ არის ზემოთ განსაზღვრული, არ არის მოსალოდნელი, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ყველა პერიოდთან მიმართებაში,

ა) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

რუსთავი 2-ის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია საქმიანობს. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი სამუშაო ვალუტის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღში როდესაც სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. ყველა სხვაობა აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. არაფულადი მუხლების გადანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

(ბ) შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და როდესაც შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის არის განხორციელებული გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. ტელეკომპანია ახორციელებს მაუწყებლობას მთელი საქართველოს მაშტაბით და მიზნად ისახავს საზოგადოების ინფორმირებულობას, ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ანალიტიკური, მიმოხილვითი, საბავშვო, საგანმანათლებლო, შემეცნებითი, გასართობ-შემეცნებითი, გასართობი, იუმორისტული, ინტელექტუალური და დოკუმენტური გადაცემების ჩვენება სატელევიზიო ეთერით. შემოსავლების აღიარება ხდება რეკლამის განთავსებიდან შესრულებული მოსახურების მიხედვით.

დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტი

რუსთავი 2-ის დაფინანსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია დამფუძნებლის შემონატანები.

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს კლიენტისთვის სარეკლამო მომსახურების ვალდებულებას, რომლისთვისაც კომპანიას კლიენტისგან მიღებული აქვს ანაზღაურება (ან გადახდა მომავალში მოხდება). თუ კლიენტი გადახდას განახორციელებს კომპანიის მიერ მისთვის მომსახურების მიწოდებამდე, სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება მოხდება ღირებულების გადახდისას ან მისი გადახდის ვადის დადგომისას (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი). სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება ხდება შემოსავლად მაშინ, როდესაც კომპანია ასრულებს გაფორმებულ ხელშეკრულებას.

(გ) გადასახადები

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ მფლობელებზე განაწილებული

მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში და რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად, ასევე როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების საოპერაციო ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას. ასეთ შემთხვევაში, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება ხდება აქტივის შესყიდვის ღირებულების ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც ადგილი აქვს დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებს, რომლებიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წინასწარ გადახდილი გადასახადების ან სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

(დ) აქტივების და ვალდებულებების მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაცია

რუსთავი 2 აქტივებს და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(ი) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათი მართვის კომპანიისეულ ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომელიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს (IFRS)15-ით განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

რუსთავი 2-ის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს საზოგადოება თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, რომლის დროსაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით;
- სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);

- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

რუსთავი 2 ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი ამ ბიზნეს მოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები არა წარმოებული ფინანსური აქტივებია, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება იანგარიშება შესყიდვის ნებისმიერი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღიარდება საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის) აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც:

- ამოიწურება აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა; ან
 - კომპანია დათმობს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ანდა იტოვებს ამგვარ უფლებას, მაგრამ აიღებს მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულებას „შეთანხმების“ საფუძველზე; ან
- (ა) კომპანია გადასცემს აქტივთან დაკავშირებულ ყველა რისკს და სარგებელს;
- (ბ) კომპანია არც გადასცემს და არც დაიტოვებს აქტივთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, მაგრამ გადასცემს აქტივზე კონტროლს.

თუ საზოგადოებამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. როდესაც კომპანიას არც გადაუცია და არც შეუნარჩუნებია აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და არც აქტივზე კონტროლი აქვს გადაცემული, ის აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას იმდენად, რამდენადაც კომპანიამასში იქნება ჩართული. ასეთ შემთხვევაში კომპანიი ამასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ისე, რომ ასახავდეს კომპანიის მიერ შენარჩუნებულ უფლებებსა და მოვალეობებს.

(i) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განსაზღვრულია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება მიეკუთვნება სესხებს და მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას, ასევე პროცენტულ სესხებს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში

ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(ii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთ გადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება, ხოლო წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და არ არსებობს შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვის, ან ერთდროულად – აქტივების რეალიზაციის და ვალდებულებების დაფარვის განზრახვა.

(iii) სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება ხდება:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე; ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულების ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

საზოგადოება ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც არსებული გარემოებების შესაფერისია და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად – არასაბაზრო მონაცემებს.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ან ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება ნაწილდება ქვემოთ წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით, რაც ეყრდნობა იმ ყველაზე დაბალი დონის ამოსავალ მონაცემს, რომელიც მნიშვნელოვანია მთლიანად სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

საზოგადოება განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივების და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნების მიზნებისთვის, საზოგადოებამ აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, თვისებებისა და რისკების ან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით.

(გ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის გადასახადს, რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება და აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მოსაყვანად და დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. ეს ღირებულება მოიცავს ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ხარჯს, ხარჯის გაწევის დროს, თუ დაკმაყოფილებულია აღიარების კრიტერიუმები. ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ გაწეული დანახარჯები, როგორც არის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, ჩვეულებრივ აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც ეს ხარჯები გაიწია.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთების გამოყენებით:

შენობა-ნაგებობა	5 %
სატრანსპორტო საშუალებები	20 %
სხვა ძირითადი საშუალებები	15%-20%

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება იმ წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები ყოველწლიურად გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

ზ) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველი ფისკალური პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 15% განაკვეთით. კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს. არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება.

აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება იმ წლის მოგებაზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

საზოგადოების არამატერიალურ აქტივის ძირითად ნაწილს შეადგენს პროგრამული უზრუნველყოფა და ფილმებისა - სერიალების ლიცენზიები.

თ) იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის ვადის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან შეიცავს იჯარას, თუ შეთანხმების შესრულება დამოკიდებულია კონკრეტული აქტივის ან აქტივების გამოყენებაზე ან შეთანხმება იძლევა აქტივების გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს უფლება არ არის მკაფიოდ აღნიშნული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

(ი) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი.

თვითღირებულება განისაზღვრება „საშუალო შეწონილი“ („Average“) მეთოდით. არარეალიზებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები სრულად ჩამოიწერება ან ასიგნირდება.

(კ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკებში და სალაროში.

(ლ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი. ნებისმიერ ანარიცხთან დაკავშირებული ხარჯი წარმოდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ანაზღაურების თანხის გამოკლებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებზე, ხარჯებზე, აქტივებსა და ვალდებულებებზე და პირობით ვალდებულებებზე, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. თუმცა, ამ დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგები, რომლებიც არსებით ცვლილებას მოითხოვს აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულებაში, რაც მომავალ პერიოდებში იქნება გამოწვეული.

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რაც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

(i) ფუნქციონირებადი საწარმო

რუსთავი 2-ს ერიცხება დიდი ოდენობით დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები, რომელიც მოცემულია მე-8, მე-9 და მე-10 შენიშვნებში

საზოგადოების დამფუძნებელმა მიმდინარე პერიოდში გამოყო დაფინანსება საწარმოს შეუზღუდავი სამეურნეო საქმიანობის მიზნით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ საზოგადოება მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ. მომზადების ეს საფუძველი გულისხმობს, რომ დამფუძნებელს შესწევს უნარი და აქვს განზრახვა გასწიოს ფინანსური დახმარება, რომელიც საზოგადოებას მისცემს საშუალებას განახორციელოს მისი აქტივების რეალიზაცია და შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

(ii) სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურება და დაკორექტირება წმინდა სარეალიზაციო ღირებულების მისაღებად

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების ობიექტური ნიშნები. თუ აღმოჩნდა გაუფასურების ზარალის ობიექტური მტკიცებულება ან თუ მოსალოდნელია მომავალ პერიოდში გარკვეული საქონლის გაყიდვა საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებ ფასად, ასეთი აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და ზარალის ოდენობის აღიარება ხდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად.

(iii) უიმედო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

კომპანია არ აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. როგორც წესი ობიექტური მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

ხელმძღვანელობას არ აქვს შეფასებული უიმედო დებიტორული დავალიანებები.

4. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

	2017	2018
შემოსავალი სარეკლამო მომსახურებიდან	32,070,944	34,155,001
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	2,225	
სულ შემოსავალი	32,073,169	34,155,001

5. საოპერაციო ხარჯი

	2017	2018
რეკლამის ხარჯები	363,967	512,748
შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)	21,116,681	23,389,963
შრომის ანაზღაურება ხელშეკრულებით	339,033	360,704
საიჯარო ქირა	1,196,240	1,256,776
საოფისე ინვენტარის ხარჯები		
საკანცელარიო ხარჯები	16,335	11,513
სამეურნეო ხარჯი ტექნიკური	113,890	192,129
კომუნალური ხარჯი	476,090	472,222
კომუნიკაციის ხარჯები	627,061	669,333
საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები		
რემონტი	129,059	144,777

საწვავის ხარჯი	501,862	602,879
ავტომატის დაზღვევა	29,630	15,601
კომპიუტერის ხარჯები	27,483	53,534
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	31,000	250,498
საგადასახადო ხარჯები	123,150	140,532
საბანკო ხარჯები	21,195	26,766
მივლინების ხარჯი	584,468	708,918
წარმომადგენლობითი ხარჯები	967	28,319
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები, რომლებიც გამოიქვითება	830,246	734,891
სულ პირდაპირი ხარჯები	26,528,358	29,572,103

6. არასაოპერაციო შემოსავალი

	2017	2018
საპროცენტო შემოსავლები		
სხვა ფინანსური შემოსავლები	15,730	226,218
არასაოპერაციო მოგება ძს და არ. აქტ.		
რეალიზაციიდან		
დადებითი საკურსო სხვაობები	270,976	199,481
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	810,014	262,662
არასაოპერაციო შემოსავლები		
სულ შემოსავალი	1,096,720	688,361

7. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31.12.2017	31.12.2018
ლარები საბანკო ანგარიშებზე	158,350	133,284
ჯამურად ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	158,350	133,284
ნაღდი ფული საღაროში ლარებში	17,896	19,327
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	176,247	152,611

8. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

	31.12.2017	31.12.2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	12,087,050	17,000,713
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	30,208	33,311
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	3,758	51,309
მიმწოდებელზე გადახდილი დეპოზიტი	185,074	186,957
		-
მთლიანი სავაჭრო მოთხოვნები	12,306,089	17,272,290
<i>მინუს: გაუფასურების რეზერვი</i>		
წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12,306,089	17,272,290

სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება და მათი დაფარვის ვადა, არ არის განსაზღვრული.

9. კრედიტორული დავალიანებები

	31.12.2017	31.12.2018
მოწოდებიდან და მომსახურებ. წარმოქმნ.		
ვალდებულებები	15,516,815	23,472,352
მიღებული ავანსები	42,331	42,331
გადასახდელი ხელფასები	2,062,415	1,821,673
სხვა ვალდებულებები საწარმოს		
პერსონალის წინაშე	5,369	3,361
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-
სულ კრედიტორული დავალიანება	17,626,929	25,339,717

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დაფარვის ვადა არ არის განსაზღვრული.

10. პროცენტული სესხები

	31.12.2017	31.12.2018
გრძელვადიანი სესხები	13,730,124	13,329,668
სულ მიღებული სესხები	13,730,124	13,329,668

სესხი მიღებულია არარეზიდენტი კომპანიებისგან, რომლის დაფარვაც არ ხორციელდება 2017-2018 წლებში.

11. ფიქსირებული აქტივები

	მიწა	შენობა ნაგებობა	სპეც. მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორ ტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	არამატერიალ ური აქტივი	სულ
საწყისი ღირებულება								
ბალანსი 31/12/2016	2,442,322	9,995,967	2,080,498	1,021,665	172,305	711,181	12,285,987	28,709,925
დანამატები		-	2,235,507	224,235		153,379	5,628,700	8,241,821
აქტივების ჩამოწერა			864,698	390,973		257,139	6,713,072	8,225,882
ბალანსი 31/12/2017	2,442,322	9,995,967	3,451,307	854,926	172,305	607,421	11,201,616	28,725,864
აკუმულირებული ცვეთა								
ბალანსი 31/12/2016	-	2,932,259	1,435,718	658,669	47,735	422,424	6,398,788	11,895,593
ცვეთა პერიოდისათვის		499,798	1,062,064	232,454	34,461	75,384	4,282,309	6,186,470
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა		-	864,698	388,748		254,837	6,713,072	8,221,355
ბალანსი 31/12/2017	-	3,432,057	1,633,084	502,374	82,196	242,970	3,968,026	9,860,708
წმინდა ღირებულება								
ბალანსი 31/12/2016	2,442,322	7,063,708	644,780	362,996	124,570	288,757	5,887,199	16,814,332
ბალანსი 31/12/2017	2,442,322	6,563,910	1,818,222	352,552	90,109	364,451	7,233,590	18,865,156

	მიწა	შენობა ნაგებობა	სპეც. მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	არამატერიალური აქტივი	სულ
საწყისი ღირებულება								
ბალანსი 31/12/2017	2,442,322	9,995,967	3,451,307	854,926	172,305	607,421	11,201,616	28,725,864
დანამატები		-	894,453	466,504		50,340	7,466,256	8,877,552
აქტივების ჩამოწერა			1,159,377	321,011		28,929	2,152,696	3,662,014
ბალანსი 31/12/2018	2,442,322	9,995,967	3,186,382	1,000,419	172,305	628,832	16,515,176	33,941,402
აკუმულირებული ცვეთა								
ბალანსი 31/12/2017	-	3,432,057	1,633,084	502,374	82,196	242,970	3,968,026	9,860,708
ცვეთა პერიოდისათვის		499,798	1,227,905	258,262	34,461	88,314	5,568,779	7,677,520
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა		-	1,159,377	321,011		28,854	2,152,772	3,662,015
ბალანსი 31/12/2018	-	3,931,856	1,701,612	439,625	116,657	302,430	7,384,033	13,876,213
წმინდა ღირებულება								
ბალანსი 31/12/2017	2,442,322	6,563,910	1,818,222	352,552	90,109	364,451	7,233,590	18,865,156
ბალანსი 31/12/2018	2,442,322	6,064,111	1,484,770	560,794	55,648	326,402	9,131,143	20,065,190

12. საგადასახადო ვალდებულებები

	31.12.2017	31.12.2018
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	515,538	455,344
ქონების გადასახადი	-	87,973
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	-	40,122
ბიუჯეტის ერთიანი ანგარიში	8,976,606	18,127,513
სულ გადასახდელი გადასახადები	9,492,144	18,710,952

საგადასახადო დავალიანებაზე მიმდინარეობს სახელმწიფოსთან მოლაპარაკება მისი გრძელვადიანი გრაფიკით დაფარვაზე.

13. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31.12.2017	31.12.2018
საქონელი	-	-
დაუმთავრებელი წარმოება	18,144	53,663
საწვავი	23,920	2,253
ჯამურად სასაქონლო- მატერიალური მარაგები	42,065	55,916

14. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

15. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო პირობითი ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო სისტემას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთ საწინააღმდეგოა და სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული. ამ გარემოებებმა შეიძლება დამატებითი საგადასახადო რისკები შექმნან საქართველოში. ხელმძღვანელობა არაა დარწმუნებული, რომ წინა ხელმძღვანელობამ ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზეგავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

16. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება პროცენტიანი სესხებისგან და ასევე სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია კომპანიის საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების დაფინანსება. კომპანიას აქვს პირდაპირ თავისი ოპერაციებიდან მიღებული დებიტორული ანგარიშები და ნაღდი ფული მიმდინარე ანგარიშებზე.

კომპანიას აქვს საკრედიტო, ლიკვიდურობის და სავალუტო რისკები. კომპანიას სხვა მნიშვნელოვანი საბაზრო რისკები არ აქვს, რადგანაც არ ფლობს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომლებზეც ექნებოდა ცვალებადი სამომავლო ფულადი ნაკადები საბაზრო ფასების მერყეობის გამო. ამასთანავე, კომპანიას არ აქვს ცვალებადი განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტები და, შესაბამისად, არ აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი.

ფინანსური აქტივები	31/12/2018	31/12/2017
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17,305,317	12,317,839
ფული და ფულადი ექვივალენტები	152,611	176,247
სულ ფინანსური აქტივები	17,457,928	12,494,086

ფინანსური ვალდებულებები	31/12/2018	31/12/2017
სესხები	13,329,668	13,730,124
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	44,050,669	27,119,073
სულ ფინანსური ვალდებულებები	57,380,338	40,849,198

(i) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომწოდებელი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიაღებდა. კომპანიას საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობიდან (ძირითადად, სავაჭრო დებიტორული დავალიანება) და ფინანსური საქმიანობიდან გამომდინარე, ბანკებში განთავსებული ანგარიშების ჩათვლით.

ფინანსური აქტივები	31/12/2018	31/12/2017
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17,305,317	12,317,839
ფული და ფულადი ექვივალენტები	152,611	176,247
მაქსიმალური საკრედიტო რისკი	17,457,928	12,494,086

(ii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი

დანაკარგების განცდისა და საზოგადოების რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

რუსთავი 2-ის პოლიტიკაა შეინარჩუნოს საკმარისი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ან/და საკმარისი დაფინანსება ჰქონდეს, რომ ვალდებულებები შეთანხმებული თარიღებით დაფაროს, თავისი სტრატეგიული გეგმების შესაბამისად.

რუსთავი 2-ს არ ერიცხება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის საბანკო სესხები. მათი ფინანსური მდგომარეობა არ იძლევა ადგილობრივი ბანკებისგან დაფინანსებაზე წვდომის გარანტიას. ამგვარი დაფინანსების მიუწვდომლობის შემთხვევაში, რუსთავი 2-ის დამფუძნებელი იკისრებს ვალდებულებას გამოუყოს შესაბამისი კრედიტი ან დაფინანსების სხვა სახეობა, რუსთავი 2-ის უწყვეტი ფუნქციონირების გასაგრძელებლად.

(iii) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსების მერყეობის გამო. კომპანიისთვის დამახასიათებელი სავალუტო რისკი ძირითადად უკავშირდება კომპანიის საოპერაციო საქმიანობას (როდესაც შემოსავალი ან ხარჯი გამოხატულია კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში) და უცხოურ ვალუტაში გამოხატულ მის ფინანსურ ვალდებულებებს.

	USD	EUR
31 დეკემბერი 2018	2.6766	3.0701
31 დეკემბერი 2017	2.5622	3.1044

(iv) საპროცენტო განაკვეთის რისკი

განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და

ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიბმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

(v) კაპიტალის მართვა

კომპანიაზე არ ვრცელდება კაპიტალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გარე შეზღუდვები და მოთხოვნები, ამიტომ კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა.

(vi) სამართლიანი ღირებულება

ხელმძღვანელობის აზრით, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებებისგან საანგარიშგებო თარიღისთვის მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო. ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც ფასდება ან გაცხადდება, მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მე-3 დონის კატეგორიას, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა, რომლებიც 1-ლ დონეს განეკუთვნება.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ ადგილი არ ქონია ისეთ რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ ანგარიშგებაში გაშიფვრას.

18. სამართლებრივი მოთხოვნები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში რუსთავი 2-ის მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობა თვლის, რომ დავების შედეგად წარმოშობილი ფინანსური სანქციებმა შესაძლებელია იქონიოს მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ან მომავალ საოპერაციო შედეგებზე.

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელობას

ჩვენ არ გამოვთქვით მოსაზრება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 17 იანვარს. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;
- ჯგუფის ყველა შვილობილი საწარმო არაარსებითია როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად და სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის ასევე არის არაარსებითი.

კონსტანტინე კიკნაძე
გარიგების პარტნიორი
(SARAS-A-615427)
შპს „თიჯიეს-კვ ჯგუფი“

31 იანვარი 2020

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელობას

ჩვენ არ გამოვთქვით მოსაზრება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 17 იანვარს. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;
- ჯგუფის ყველა შვილობილი საწარმო არაარსებითია როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად და სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის ასევე არის არაარსებითი.

კონსტანტინე კიკნაძე
გარიგების პარტნიორი
(**SARAS-A-615427**)

შპს „თიჯიეს-კკ ჯგუფი“

31 იანვარი 2020



შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2016	31.12.2017	31.12.2018
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	7	32,069	176,247	152,611
სავაჭრო მოთხოვნები	8	8,930,217	12,306,089	17,272,289
სასაქონლო მატერიალური მარაგები	13	37,646	42,065	55,916
წინასწარ გადახდილი ხარჯები		14,617	11,751	33,028
ჯამურად მიმდინარე აქტივები		9,014,549	12,536,151	17,513,844
ფიქსირებული აქტივები	11	16,814,332	18,865,156	20,065,189
ჯამურად გრძელვადიან აქტივები		16,814,332	18,865,156	20,065,189
სულ აქტივები		25,828,881	31,401,308	37,579,034
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	9	+ 11,567,566	17,626,929	25,339,717
გადასახდელი გადასახადები	12	3,567,662	9,492,144	18,710,952
გადასახდელი პროცენტი		4,740,514	5,879,145	6,475,207
გრძელვადიანი სესხის მოკლევადიანი ნაწილი	10	13,530,045	13,730,124	13,329,668
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		33,405,786	46,728,342	63,855,545
სულ ვალდებულებები		33,405,786	46,728,342	63,855,545
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		5,783,329	5,783,329	7,274,029
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(13,489,604)	(23,400,754)	(36,787,065)
გადაფასების რეზერვი		129,370	2,290,390	3,236,526
სულ კაპიტალი		(7,576,905)	(15,327,035)	(26,276,511)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		25,828,881	31,401,308	37,579,034

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2020 წლის 17 იანვარს.

გენერალური დირექტორი
პაატა სალია
17 იანვარი 2020



მთავარი ბუღალტერი
მარინა ოდიშელიძე
17 იანვარი 2020

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	2017	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	4	32,073,169	34,155,001
სულ შემოსავალი		32,073,171	34,155,004
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		7,413,065	9,076,889
სულ თვითღირებულების ხარჯები		7,413,065	9,076,889
მთლიანი მოგება		24,660,106	25,078,115
საოპერაციო ხარჯები	5	26,528,358	29,572,103
ცვეთის ხარჯი		6,186,520	7,677,520
სულ საოპერაციო ხარჯები		32,714,878	37,249,623
არასაოპერაციო მოგება	6	1,096,720	688,361
არასაოპერაციო ზარალი		2,871,712	1,844,103
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი	-	1,774,992	- 1,155,743
მოგება დაბერგვრამდე	-	9,829,764	- 13,327,250
მოგების გადასახადი		81,385	59,061
წმინდა მოგება	-	9,911,150	- 13,386,311

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2020 წლის 17 იანვარს.

გენერალური დირექტორი
პაატა სალია
17 იანვარი 2020



მთავარი ბუღალტერი
მარინა ოდიშელიძე
17 იანვარი 2020

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“

კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	გადაფასების რეზერვი	ჯამურად
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,783,329	(13,489,604)	129,370	(12,006,140)
კაპიტალის ზრდა/შემცირება პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	9,911,150	2,161,020	2,161,020 (9,911,150)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,783,329	-	2,290,390	19,756,269
კაპიტალის ზრდა/შემცირება პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	1,490,700	-	946,136	2,436,836 (13,386,312)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7,274,029	-	3,236,526	(26,276,511)

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2020 წლის 17 იანვარს.

გენერალური დირექტორი
პაატა სალია
17 იანვარი 2020



მთავარი ბუღალტერი
მარინა ოდიშელიძე
17 იანვარი 2020

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2017	2018
მოგება დაბეგრვამდე	- 9,911,150	- 13,386,311
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია	6,186,520	7,677,520
მოგების გადასახადი	-	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	- 3,724,630	- 5,708,791
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე		
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების დავალიანებაში	- 3,375,872	- 4,966,200
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	- 4,419	- 13,851
ცვლილებები წინასწარ გადახდილ გადასახადებში	2,866	- 21,278
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	6,059,363	7,712,788
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში	5,924,482	9,218,808
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	4,881,791	6,221,476
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიქსირებული აქტივების შეძენა/ჩამოწერა	- 8,237,344	- 8,877,553
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	- 8,237,344	- 8,877,553
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის ზრდა	-	1,490,700
გადაფასების რეზერვი	2,161,020	946,136
მიღებული სესხების დაფარვა	200,080	- 400,456
საპროცენტო ვალდებულება	1,138,631	596,062
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	3,499,731	2,632,442
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	144,178	- 23,635
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	32,069	176,247
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	176,247	152,611

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2020 წლის 17 იანვარს.

გენერალური დირექტორი

პაატა სალია

17 იანვარი 2020



მთავარი ბუღალტერი

მარინა ოდიშელიძე

17 იანვარი 2020

- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმოებმა. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- კომპანიის ფარგლებში არსებული სამეურნეო ერთეულების და საქმიანობების კონსოლიდირებულ ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით საკმარისი შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოსახატავად. ჩვენ პასუხს ვაგებთ კომპანიის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და მის შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად, ხელმძღვანელობას ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის აუდიტის პროცესში გამოვლენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

კონსტანტინე კიკნაძე

(SARAS-A-615427)

გარიგების პარტნიორი

შპს „თიჯიეს-კვ ჯგუფი“

თბილისი, არჩილ ქურდიანის 11

18 იანვარი 2020 წ.





რუსთავი 2

საბავშვო კომპანია

0186 თბილისი, საქართველო

ზურაბ ანჯაფარიძის 5ა (ყოფილი სანდრო ეულის ქუჩა)

ტელ: (995 32) 220-11-11; (995 32) 231-35-35

ფაქსი: (992 32) 253-69-11

E-mail: tv@rustavi2.ge

Nº--/-0065-20

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სამსახურის
უფროსს ბატონ იური დოლიძეს

ბატონო იური,

გაცნობებთ, რომ შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ს და მისი შვილობილი კომპანია შპს „მუქსი“-ს (შემდგომში „ჯგუფის“) ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ შვილობილის მწირი და არაარსებითი ოპერაციების გამო (აქტიური ოპერაციები არ უწარმოებიათ) ფინანსური ანგარიშგების მკითხველისათვის არ იქნებოდა საინტერესო და ინფორმაციული შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, რადგან:

- მისი ინდივიდუალური შედეგები არსებითად არ განსხვავდება ჯგუფის შედეგებისაგან;
- ჯგუფის კონსოლიდირებული ანგარიშგება, ჯგუფის ოპერაციებისა და ფინანსური შედეგების სრულ და სამართლიან პრეზენტაციას ახდენს.

ამიტომ, 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადდა, მასზედ დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა გაიცა და გამოქვეყნდა მხოლოდ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. აღნიშნული საკითხი აუდიტის პროცესში შეთანხმდა ჯგუფის აუდიტორთან - შპს „თიჯიეს-კვ ჯგუფი“, რომელმაც შვილობილის ფინანსური ანგარიშგება არ მიიჩნია არსებითად და მათზე დამატებითი აუდიტის პროცედურები არ ჩატარა.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვისაც, წარმოგიდგენთ მხოლოდ ჯგუფის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას.

04 თებერვალი, 2020 წ.

პატივისცემით,

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“
გენერალური დირექტორი

პაატა ხალიძა



www.rustavi2.ge

RUSTAVI 2
BROADCASTING COMPANY

5a Zurab Anjafaridze (former Sandro Euli st)

0186 Tbilisi, Georgia

Phone: (995 32) 220-11-11; (995 32) 231-35-35

Fax: (992 32) 253-69-11

E-mail: tv@rustavi2.ge

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

კომპანიის აღწერა და მოკლე ისტორია

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ (შემდგომში „რუსთავი 2“) დაფუძნდა 1996 წლის 27 აგვისტოს. საიდენტიფიკაციო კოდი: 211352016. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა N5ა.

რუსთავი 2-ის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 7 274 029 ლარს, რომელიც მის დამფუძნებლებს შორის გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- ქიზარ ხალვაში (პნ 61002000543) - 60%;
- შპს „პანორამა“ (სნ 205033328) - 40 %.

2019 წლის 19 ივლისიდან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 აგვისტოს N2/15651-15 განჩინებისა და ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 20 ნოემბრის №28/4309-15 განჩინების საფუძველზე სრულად შეიცვალა რუსთავი 2-ის დამფუძნებლები, რის შედეგადაც მოხდა მთლიანად მენეჯმენტის შეცვლა.

თავის მხრივ რუსთავი 2-ს დაფუძნებული აქვს კომპანიები:

- შპს მუქსი (სნ 405044955) რეგისტრაციის თარიღი 23.05.2014 წელი -100 %;
- შპს უნიმედია (სნ 205284609) რეგისტრაციის თარიღი 06.08.2009 წელი -50%.

აღსანიშნავია, რომ რუსთავი 2-ის მიერ დაფუძნებულ კომპანიებს არსებითი სამეწარმეო ოპერაციები არ გააჩნია და შეიძლება ითქვას რომ, პრაქტიკულად არ ფუნქციონირებენ.

რუსთავი 2-ის ძირითად საქმიანობად განისაზღვრა სამაუწყებლო მომსახურება მთელი საქართველოს მასშტაბით.

ფინანსური მაჩვენებლები

2018 წელს სამაუწყებლო კომპანია **რუსთავი 2**-ის საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლებმა შეადგინა 34 843 365 ლარი, ხოლო საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯებმა შეადგინა 48 229 676 ლარი, ზარალმა შეადგინა 13 386 311.

	2016	2017	2018
შემოსავალი	42,332,105	33,169,891	34,843,365
ხარჯები	-49,946,959	-43,081,040	-48,229,676
ზარალი	-7,614,854	-9,911,149	-13,386,311

2018-2019 წლებში **რუსთავი 2**-ს სარეკლამო დროის გაყიდვებზე ექსკლუზიური უფლებით მომსახურებას უწევდა შპს „ინტერ მედია“ (ს.ნ 400228650) რომელის შემოსავლიდანაც განსაზღვრებოდა რუსთავი 2-ის შემოსავალი პროცენტულად.

რისკ-ფაქტორები

რუსთავი 2-ის სამომავლო ფუნქციონირებადობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე დიდ გავლენას ახდენს გარემო რისკ-ფაქტორები, რომელთაგან გამოვყოფთ შემდგომს:

- ბიუჯეტის მიმართ დავალიანება;
- კონკურენტული გარემო, მაყურებლისა და რეიტინგის შენარჩუნება;
- დაფინანსების მოპოვება.

ტელევიზიის საქმიანობა რეგულირდება, შიდა სახელმწიფოებრივი საკანონმდებლო აქტებით. აგრეთვე კომპანია პრაქტიკაში აქტიურად იყენებს და ითვალისწინებს საერთაშორისო განაწესებსა და რეკომენდაციებს. საჭიროების შემთხვევაში კვალიფიციური კონსულტანტებისაგანაც იღებს რჩევებს იმ საკანონმდებლო ცვლილებთან დაკავშირებით, რომელიც უშუალოდ ეხება საქმიანობის სფეროს, რათა კანონმდებლობის სრული დაცვით განხორციელდეს სამეწარმეო საქმიანობა.

რისკ-ფაქტორად შესაძლოა სამომავლოდ იქნეს განხილული მოქმედი საკანონმდებლო რეგულირების იმგვარი ცვლილებები, რომლებიც არსებითად შეაფერხებს კომპანიის საქმიანობას.

სამომავლო გეგმები

რუსთავი 2-ის მიზანია ჯანსაღი კონკურენციის პირობებში შეინარჩუნოს რეიტინგი და მაყურებელს შესთავაზოს მაღალი ხარისხის სატელევიზიო პროექტები და მიაწოდოს სანდო ინფორმაცია.

თანამედროვე გამოწვევების ფონზე, რუსთავი 2-ის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ კომპანია ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, პირობებს ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის, რათა გაუმჯობესდეს სატელევიზიო პროდუქტის ხარისხი.

რუსთავი 2 და მისი ჯგუფი ორიენტირებულია მსხვილი და ინოვაციური პროექტების განხორციელებაზე, რომელიც უახლესი ტექნოლოგიებით და მრავალწლიანი გამოცდილებით, კონკურენტუნარიან გარემოპირობებში სატელევიზიო ბაზარზე იქნება ლიდერის პოზიციაზე.

პაატა სალია

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ს

გენერალური დირექტორი

24.01.2020

რისკ-ფაქტორად შესაძლოა სამომავლოდ იქნეს განხილული მოქმედი საკანონმდებლო რეგულირების იმგვარი ცვლილებები, რომლებიც არსებითად შეაფერხებს კომპანიის საქმიანობას.

სამომავლო გეგმები

რუსთავი 2-ის მიზანია ჯანსაღი კონკურენციის პირობებში შეინარჩუნოს რეიტინგი და მაყურებელს შესთავაზოს მაღალი ხარისხის სატელევიზიო პროექტები და მიაწოდოს სანდო ინფორმაცია.

თანამედროვე გამოწვევების ფონზე, რუსთავი 2-ის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ კომპანია ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, პირობებს ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის, რათა გაუმჯობესდეს სატელევიზიო პროდუქტის ხარისხი.

რუსთავი 2 და მისი ჯგუფი ორიენტირებულია მსხვილი და ინოვაციური პროექტების განხორციელებაზე, რომელიც უახლესი ტექნოლოგიებით და მრავალწლიანი გამოცდილებით, კონკურენტუნარიან გარემოპირობებში სატელევიზიო ბაზარზე იქნება ლიდერის პოზიციაზე.

პაატა სალია

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“

გენერალური დირექტორი

24.01.2020

